ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №2

18.11.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შოთა ქევხიშვილი - კომისიის წევრი;
3. ვალერიან პაპუაშვილი - კომისიის წევრი;
4. ჯაბა კოღუა - კომისიის წევრი;
5. ლეილა კოლომიკოვი - კომისიის წევრი;
6. ბექა მენთეშაშვილი - კომისიის წევრი;
7. დავით ჭელიძე - კომისიის წევრი;
8. დავით ხაბეიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ **(12-032531815-03; 14.11.2025);**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(12-032531844-03;14.11.2025).**

მომხსენებლები:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
ლევან მიქავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
დავით ჯაიანი - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა, წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032531815-03; 14.11.2025):

გ.თალაკვაძე წარმოადგინა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 656 339,7 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 278 531,3 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 292 760,6 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი;
- განათლება - 300 602,4 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 257 537,5 ათასი ლარი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **2 012 482,2** ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები **1 017 275,0** ათასი ლარი. გრანტები **607 668,2** ათასი ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია **13 493,6** ათასი ლარით (სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე). სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - **25 480,0** ათასი ლარი (მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - **3 000,0** ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - **2 000,0** ათასი ლარი, თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის (AIIB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - **17 000,0** ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - **200,0** ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - **2 280,0** ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - **1 000,0** ათასი ლარი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განსაზღვრულია **387 539,0** ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი - **23 026,8** ათასი ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 764,6 ათასი ლარით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების შემცირების ხარჯზე.

გ. თალაკვაძემ ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს **2 082 482,2** ათას ლარს. მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია **1 730 007,8** ათასი ლარით. აქედან, შრომის ანაზღაურება **164 521,7** ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია **223 852,6** ათასი ლარი, პროცენტი **50 087,2** ათასი ლარი, სუბსიდიები **920 322,0** ათასი ლარი, გრანტები **1 492,9** ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა **170 206,5** ათასი ლარი, სხვა ხარჯები **199 524,9** ათასი ლარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა 1,078,223.3 ათასი ლარის ოდენობით.

პროექტის თანახმად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია 4,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

2026 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **37 570,9 ათასი** ლარის ოდენობით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში **ტრანსპორტის განვითარების** პროგრამისთვის (კოდი 01 02) განსაზღვრულია **553 483.7** ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (ქვეპროგრამის კოდი 01 02 01) 26,456.2** ათასი ლარი. ქვეპროგრამის მიზანია დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, კონკრეტულად პროექტის თანახმად, მიზნობრივ მაჩვენებელს შეადგენს შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების 17 ობიექტის მოწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობას, კერძოდ 2026 წელს დაგეგმილია 120 ცალი მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა და მოვლა შენახვა ექსპლუატაცია. ქვეპროგრამის ასიგნებებიდან დაფინანსდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება, პროექტის თანახმად, იგეგმება საშუალოდ 3 000 ცალი საგზაო ნიშნის შეძენა-მონტაჟი, 3 000 ცალი ბოძკინტის

შეძენა, 1000 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარის შეძენა-მონტაჟი, დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება. ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტით და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება, 2026 წელს დედაქალაქის ქუჩებისა და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილ იქნება 5 000 კვ.მ ჰორიზონტალური და ვერტიკალური საგზაო მონიშვნები. თბილისის მაშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია პარკირების სისტემის მოწესრიგება, მათ შორის, სპეციალური დაცული სადგომის მოწყობა ვარკეთილში. ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება-განვითარება და სხვა ღონისძიებები. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (ქვეპროგრამის კოდი 01 02 02) 17, 000.0 ათასი ლარი.** ქვეპროგრამის ფარგლებში, ექსპლუატაციაში მყოფი მოძრავი შემადგენლობის გარბენის კრიტიკული რაოდენობიდან გამომდინარე მიმდინარეობს მეტროს ვაგონების საშუალო შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების (AIIB) (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული 111 ერთეული ვაგონის შეძენა) პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა. ელექტრომოძრავი შემადგენლობის განახლება-გადაიარაღება ხელს შეუწყობს მგზავრთანაკადის დროულ და კომფორტულ გადაადგილებას და დასახული მიზნის-პიკის საათებში მოცდის დროის შემცირების მიღწევას.

- **მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (ქვეპროგრამიდ კოდი: 01 02 03) - 200.0 ათასი ლარი.** ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია თბილისის მეტროს (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია) სესხის მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა. კონკრეტულად, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2023 წლის 17 იანვარს გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების გადასახდელი დღგ.

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (ქვეპროგრამის კოდი: 01 02 05) – 479, 827.5** ათასი ლარი. ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები.

ასევე, დაფინანსდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. საშუალოდ 2026 წლის განმავლობაში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილი იქნება - 169 354 511 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილი იქნება – 150 432 097 მგზავრი, M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილი იქნება - 77 465 840 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები) გადაყვანილი იქნება - 139 396 მგზავრი, საბაგირო გზით (რიყე-ნარიყალა) გადაყვანილი იქნება - 1 991 727 მგზავრი და (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) გადაყვანილი იქნება - 221 501 მგზავრი.

- **ტრამვაის ხაზის მშენებლობა (ქვეპროგრამის კოდი 01 02 07) – 30,000.0 ათასი ლარი.** ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მდგრადი, ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის დანერგვა დიდ დიღომსა და დიდუბეს შორის ტრამვაის ხაზის მოწყობის გზით. დაგეგმილია დიდი დიღმიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით 7,5 კილომეტრიანი ტრამვაის ხაზის (ახალ მარშრუტს 11 გაჩერება ექნება და მას ტრამვაის 10 შემადგენლობა უნდა მოემსახუროს) და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება და სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესრულება Design-Build (DB) მეთოდით. პროექტის დაწყების და დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2026-2028 წწ.
  მათ შორის: თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - ვალის ნაშთი 2026 წლის ბოლოსთვის შეადგენს თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) - 393,262.5 ათას ლარს.

- **„მდგრადი ურბანული მობილობა“ - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) (ქვეპროგრამის კოდი 10 23) - 7,050.0 ათასი ლარი.** პროგრამა ემსახურება თბილისში მდგრადი მობილობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული **სესხის დაფარვას.** პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) გონიერი სატრანსპორტო სისტემა, ე.ი. მართვის ცენტრი მონაცემთა პლატფორმით, სენსორებითა და სიგნალიზაციის ტექნოლოგიით, რაც გამოიყენება სამანქანო ნაკადებისა და პარკირების ადგილების რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისათვის; 2) ე.წ. ,,მწვანე დერეფნები“, რაც გულისხმობს შერჩეული სატრანსპორტო დერეფნებისათვის ქუჩის ახალი დიზაინის შემუშავებას, მათ შორის, სწრაფი საავტობუსე სავალი გზების მოწყობასა და ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა - 147,866.7 ათას ლარის ოდენობით.

- **თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - 7,590.0 ათასი ლარი.** პროგრამა ემსახურება მეტროს სადგურების

რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა - 159,192.7 ათასი ლარის ოდენობით.

- **თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) (კოდი 10 41) - 11,250.0 ათასი ლარი.** პროგრამა ემსახურება მეტროს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონები) განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა - 393,262.5 ათას ლარის ოდენობით.

- **თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 6,319.3 ათასი ლარით.** პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

- **თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა** (კოდი 10 47) - **35, 059.9 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა - 182,749.3 ათასი ლარის ოდენობით.

პროგრამის ფარგლებში, 2026 წელს დაგეგმილი კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტებიდან უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. მათ შორის:

- **თბილისში, შ. რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია** (პროგრამული კოდი 01 01 01). რუსთაველის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების დანიშნულებაა უზრუნველყოს უსაფრთხო სატრანსპორტო კავშირი ქალაქის დანარჩენ საგზაო ქსელთან, კომფორტული გახადოს, როგორც ავტომობილით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება, ასევე ფეხითმოსიარულეთა სავალი ნაწილი. პროექტით გათვალისწინებულია ახალი სანიაღვრე ქსელის მოწყობა. მიწისქვეშა გადასასვლელებზე გათვალისწინებულია ჰიდროიზოლაციის მოწყობა. გზის გარკვეულ ადგილებში ტროტუარზე მოწყობილია ლითონის მოაჯირები, გათვალისწინებულია მათი დემონტაჟი, შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით და სამუშაოების დასრულების შემდეგ მათი უკან მონტაჟი. საპროექტო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1442 მეტრს. პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 40,000.0 ათას ლარს და უნდა განხორციელდეს 2026-2027 წწ.

- **ახალი ლიანდაგმზომის შესყიდვა** (პროგრამული კოდი 01 02 01). ლიანდაგმზომი ვაგონი ზომავს ლიანდაგის, საკონტაქტო რელსის, საისრო გადამყვანების მდგომარეობას და მდებარეობას, რომელიც იძლევა საშუალებას ყოველდღიურ

რეჟიმში განხორციელდეს აღნიშნული ინფრასტრუქტურის კონტროლი. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა დროული კონტროლი განხორციელდეს ვაგონების დაზიანების/ამორტიზაციის პრევენციის მიზნით.

- **თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება (ფაზა II - EBRD) (პროგრამული კოდი 01 02 01).** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფილი სესხის 80 000 000 ევროს ფარგლებში (პირველი ტრანში 65 000 000 ევრო, მეორე ტრანში 15 000 000 ევრო) ხორციელდება ახალი M3 კატეგორიის ავტობუსების შესყიდვა და I და II ავტობაზების მშენებლობა/რეკონსტრუქცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება. პროექტის ფარგლებში, შესყიდულია 226 ერთეული BMC-ს მარკის CNG-ის ძრავზე მომუშავე 12 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსები. პროექტის ფარგლებში II ავტობაზაზე გაძლიერდება გაზგასამართი სადგური. I და II ავტობაზებს ჩაუტარდება სარეკონსტრუქციო/ სამშენებლო სამუშაოები. 2026 წლის ბოლოსთვის დასრულებული იქნება პიველი ავტობაზის რეკონსტრუქცია/მშენებლობისა და მეორე ავტობაზის გაზგასამართი სადგურის გაძლიერების სამუშაოები.

- **მეტროს მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაცია - ახალი ვაგონების შესყიდვა** (პროგრამული კოდი 01 02 02). პროექტის ფარგლებში განხორციელდება მოძველებული და ამორტიზებული ვაგონების ჩანაცვლება და შესყიდული იქნება 111 მეტროს ვაგონი - 14 ოთხვაგონიანი და 11 ხუთვაგონიანი მატარებელი. პროექტის თანახმად, მეტროს პირველ ხაზს მოემსახურება 5 ვაგონიანი მატარებელი რაც, მგზავრთა მომსახურებას გაზრდის 25%-ით, შემცირდება ვიბრაციის და ხმაურის დონე, რაც შესაბამისობაში მოვა ევროპულ სტანდართან, შემცირდება ენერგო მოხმარება, ვაგონები ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, განსაკუთრებით ეტლით მოსარგებლეები თვითონ შეძლებენ ვაგონში უსაფრთხოდ შესვლას და მგზავრობას, ახალი მეტროს ვაგონები აღჭურვილი იქნება ჰაერის კონდინცირების სისტემით, რომელიც ევროპული სტანდარტების მიხედვით უზრუნველყოფს შიდა ტემპერატურის სრულ კონტროლს. პროექტის განხორციელების ვადად მიჩნეულია 2025-2030 წწ.

- **თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD) (პროგრამული კოდი 01 02 03).** საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2023 წლის 17 იანვარს გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის“ განხორციელების მიზნით გამოყოფილი იქნა 55,600,000.00 ევრო (ორმოცდათხუთმეტი მილიონ ექვსასი ათასი ევრო). განხორციელებული პროექტის შედეგად, განახლდება თბილისის 12 მეტროსადგური. კერძოდ, დაგეგმილია მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების მთლიანი სისტემის შეცვლა 1 და 2 ხაზზე, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლა ორივე ხაზზე. სადგურის მოედანის მესამე ამოსასვლელის ესკალატორების შეცვლა - სულ 3 ესკალატორი. 2 ლიფტის დაყენება 1-ლი ხაზიდან მე-2 ხაზამდე წვდომის გასაუმჯობესებლად. პროექტის

ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება თბილისის მეტროს 12 სადგურს და მომზადებული იქნება დამატებითი 8-10 სადგურის კონცეპტუალური პროექტი.

- **გლდანის რაიონში, ლიბანის ქუჩის მიმდებარედ, კორპუსი 6 და 119-ე საჯარო სკოლასთან არსებულ მეწყრულ სხეულზე სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები** (პროგრამული კოდი 02 01 01). ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის ქუჩაზე მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ემიჯნება N119-ე საჯარო სკოლას და კორპუს N6-ს, საველე აღწერის შედეგად გამოკვეთილია შემდეგი გარემოება: ტერიტორია საკმაოდ სახეცვლილია მეწყრული პროცესების განვითარების გამო, ფერდობზე შეიმჩნევა მეწყრული ტერასები და საფეხურები, ასევე დაჭაობება. სკოლის მიმდებარედ მოწყობილი კედლის უკან არსებული ფილა სრულად ამორტიზებულია, დაზიანებულია ადრეულ პერიოდში მოწყობილი კიუვეტები, რაც იწვევს მოდინებული წყლების უწესრიგოდ მოძრაობას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მასშტაბური ღონისძიებების გატარება მეწყრული პროცესების შესაჩერებლად. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებით შეჩერდება მეწყრული პროცესები, შედეგად გარემო გახდება სრულიად უსაფრთხო როგორც სკოლის მოსწავლეებიისთვის, ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის. პროექტი უნდა დასრულდეს 2026 წელს და საბიუჯეტო სახსრებიდან გათვალისწინებულია 2 563 852 ლარი.

გ. თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. ანგარიშის თანახმად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის დაფინანსებამ შეადგინა - 536,201.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (607,461.1 ათასი ლარი) 88.3%-ია. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის (9 თვე) შესრულების ანგარიშში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენას (536 201,4 ათასი ლარი) 36.8 % უკავია, რაც სხვა პრიორიტეტებთან შედარებით პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული ასევე აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის და მოსაზრებების წარდგენის რეჟიმში წარიმართა. გამოითქვა რეკომენდაციები და შენიშვნები ბიუჯეტის პროექტის რიგ ქვეპროგრამებში გასათვალისწინებელ ასიგნებებთან დაკავშირებით, რომლებიც ასახული იქნა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დასკვნაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 8, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის

პროექტი“ კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032531844-03;14.11.2025):

დ. ჯაიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძის პლატოსა და სადგურის მოედანი – ვარკეთილის (ლოტკინი - მახათა-ჰუალინგი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვის მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თბილისის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა ხეობაში, სადაც მრავალი საცხოვრებელი უბანი მაღლობზეა გაშენებული, ურბანული საბაგირო გზების, როგორც ადამიანების საცხოვრებელი უბნებიდან საქმიან უბნებში გადაყვანის საშუალების განვითარებას და გამოყენებას უწყობს ხელს.

ქალაქს 1950-იანი წლებიდან აქვს საბაგირო გზების სისტემები, თუმცა ხაზების უმეტესობა აშენდა ტურისტული მიმართულებების ქალაქის ცენტრთან დასაკავშირებლად. დღესდღეობით სტრატეგიულად მიზანშეწონილია, რომ საბაგირო გზების სისტემები განვითარდეს, როგორც ურბანული სამგზავრო ტრანსპორტი.

თბილისის სატრანსპორტო გეგმის (SUMP) დოკუმენტმა განსაზღვრა ქალაქ თბილისის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი სხვადასხვა რეფორმის აღსრულების გზა, რომელიც შეესაბამება ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული კუთხით დასმულ მიმდინარე, აქტუალურ გამოწვევებს.

მათ შორის, თბილისის სატრანსპორტო გეგმის მიერ გამოვლენილია ურბანული საბაგიროების ექვსი დერეფანი. აქედან, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე უკვე ასახულია 1: ისანი – ვაზისუბანი; 2: სარაჯიშვილი – ზღვისუბანი; 3; სამგორის საბაგიროს დერეფნები. წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში კი ხდება დამატებით 2 (ორი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნის ასახვა, ესენია:

- ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიძის პლატო;
- სადგურის მოედანი – ვარკეთილი (ლოტკინი - მახათა- ჰუალინგი);

ყველა ზემოაღნიშნულ მარშრუტზე არსებითია, რომ შემოთავაზებული სადგურებისთვის მიწის ნაკვეთები და მარშრუტის ხაზები დაცული იყოს ნებისმიერი მომავალი განაშენიანებისგან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 8, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032531844-03;14.11.2025)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე